ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 332

“ 15 ” სექტემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს №227 განკარგულებით დამტკიცებული ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, ავტოვაზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №01.19.18.005.102; №01.19.18.005.104) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე” ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ” ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლის, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №30 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 17 აგვისტოს №04/9159 წერილის (AR1522847) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილი იქნას ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს №227 განკარგულებით დამტკიცებული ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, ავტოვაზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №01.19.18.005.102; №01.19.18.005.104) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში და საპროექტო არეალში დაფიქსირდეს შემდეგი საკადასტრო ერთეულები: №№01.19.18.005.142; 01.19.18.005.143; 01.19.18.005.144; 01.19.18.005.145. საპროექტო ობიექტად მრავალფუნქციური კომპლექსის ნაცვლად (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული კომპლექსი და საბავშვო ბაღი) დაფიქსირდეს საწარმოო და საოფისე მრავალფუნქციური შენობა და მათი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ობიექტები.
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**